ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
GEORGIA
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:გ-135. 135231232

თარიღი:03/05/2023

**მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის” 86–ე მუხლის შესაბამისად

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:**

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დადებითად.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
**3.** განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის’’ 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიში

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022წლისგეგმა | 2022წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| შემოსავლები | 27689.51 | 30060.29 | 30,403,4 |
| გადასახადები | 15077.07 | 15691.00 | 15,692,5 |
| გრანტები | 10291.12 | 12569.29 | 12,669,7 |
| სხვა შემოსავლები | 2321.33 | 1800.00 | 2,041,1 |
| ხარჯები | 13440.91 | 16755.93 | 16,443,7 |
| შრომის ანაზღაურება | 2209.12 | 2407.22 | 2,394,3 |
| საქონელი და მომსახურება | 3977.93 | 4934.56 | 4,775,5 |
| ==პროცენტი | 129.26 | 108.79 | 108,8 |
| სუბსიდიები | 4705.51 | 6368.18 | 6,270,0 |
| გრანტები | 0.00 | 0.00 | 00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 602.77 | 771.32 | 760,0 |
| სხვა ხარჯები | 1816.32 | 2165.87 | 2135,3 |
| საოპერაციო სალდო | 14248.60 | 13304.36 | 13959,6 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 17336.97 | 18049.80 | 15164,3 |
| ზრდა (ა) | 17336.97 | 18049.80 | 15164,3 |
| კლება (ა) | 0.00 | 0.00 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მთლიანი სალდო | -3088.36 | -4745.44 | 1204,7 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -3330.84 | -5006.65 | 1465,9 |
| ზრდა (ფ) | 0.00 | 0.00 | |
| კლება (ფ) | 3330.84 | -5006.65 | -1465,9 |
| ვალდებულებების ცვლილება | -242,47 | -261.21 | -261,2 |
| კლება (ვ) | 242.47 | 261.21 | 261,2 |
| ბალანსი | 00 | 0.00 | 00 |

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5 006,6 ათასი ლარი. ხოლო 2022 წლიდან გარდამავალი ნაშთი შეადგენს 3 540,9 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 30 060,3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 403,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101%.

შემოსავლების ხვედრითი წილი




## I შემოსავლები

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30 060,3 ათასი ლარი, ფაქტიურად 30 403,4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101% შეადგინა.

გადასახადებიდან მიღებუმა შემოსავალმა შეადგინა 15 692,5 ათასი ლარი,რაც დაგეგმილი თანხის (15 691,0 ათასი ლარი)100% მათ შორის: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8 895,5 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის (9 136,0 ათასი ლარი)97 % მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 7 024,4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 6,9 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე ჩამოგვაჭრეეს თანხა -10,4 ათასი ლარის ოდენობით,ხოლო მიწის გადასახადიდან შემოსავალმა შეადგინა - 1 866,5 ათასი ლარი.

გადასახადები




დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 6 797,0 ათასი ლარი. რაც დაგეგმილ მაჩვენებელთან (6 555,0 ათასი ლარი) შედარებით 242,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია,ანუ გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 104%.

II <u>გრანტები</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 12 669,7 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის (12 569,3 ათასი ლარი)101% შეადგენს მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 235,2 ათასი ლარი (იაპონიის საელჩოსგან მიღებული გრანტი ავტობუსის შეძენის უზრუნველსაოფად თანადაფინანსება 195,2 ათასი ლარი,გაეროს განვითარების პროგრამით გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2022 წლით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით ჩარიცხული, მიზნობრიობა: დ.მესტია ჭალადის ტერიტორიაზე სველი წერტილის და 5 ერთეული სავაჭრო დახლის მოწყობა 40,0 ათასი ლარი),
- მიზნობრივი ტრანსფერი -1 299,2 ათასი ლარის ოდენობითაა მობილიზებული,რაც დაგეგმილი შესაბამისი მაჩვენებლის (1384,2 ათასი ლარი) 94% -ს შეადგენს.
- კაპიტალური გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან,აღნიშნული მუხლით მობილიზდა -11 135,4 ათასი ლარის ოდენობითაა მობილიზებული,რაც დაგეგმილი შესაბამისი მაჩვენებლის (11 145,1 ათასი ლარი) 100% -ს შეადგენს.




III <u>სხვა შემოსავლები</u> საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრულია 1 800,0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 2 041,2 ათასი ლარი შეადგინა, გეგმას გადააჭარბა 241,2 ათასი ლარის ოდენობით,გეგმა შესრულდა 113%-ით. მათ შორის:

შემოსავლები საკუთრებიდან :

- პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 339,7 ათასი ლარი, რაც გეგმის ანალოგიურ მაჩვენებლის (300,0 ათასი ლარი) 113% -ს შეადგენს,
- რენტის სახით მობილიზებულია 1 527,0 ათასი ლარი, რაც გეგმის ანალოგიურ მაჩვენებლის (1 330,0 ათასი ლარი) 115% -ს შეადგენს,მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან- 1 300,8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან- 226,2 ათასი ლარი.

საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 133,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (130.0 ათასი ლარი) 103%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 34,4 ათასი ლარი,

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 99,0 ათასი ლარი, მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მიღებულია 11,3 ათასი ლარი, კერძოდ: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) .

- სანქციებიდან (ჯარიმებიდასაურავები)მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 28,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40.0 ათასი ლარი) 71%-ია
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი არ გვქონია, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,2 ათასი ლარი(უკან დაბრუნებული თანხა),




ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ
2022 წელს გადასახდელების შესრულების 91%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.
2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები
გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35 066.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31 869,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91 %-ია. მათ შორის: ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 755,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16 443,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98 %-ი.
არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18 049,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 15 164,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84 %-ი .
ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 261,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 261,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი .

გადასახდელები




მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 407,2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 394,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 4 934,5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 4 775,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 97%-ს შეადგენს.

,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 108,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 108,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6 368,2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 270,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, ტურიზმის ხელშეწყობა, კულტურის და ხელოვნების განვითარება, ბიბლიოთეკების განვითარება, გარე განათების უზრუნველყოფა,დასუფთავების და კეთილმოწყობის ღონისძიებები, შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება, სპორტული ღონისძიებები და ა შ

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 771,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 760,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა,მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა,დეკრეტული და ბივლეტენით მოსარგებლეთა დაფინანსება.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 165,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 135,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 99%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცა:

მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავით უზრუნველყოფა, მოსახლეობისთვის წყლის და საკანალიზაციო მილების,ელექტრო სადენების,სახნავ სათიბი ნაკვეთების შემოსაღობი მასალის შეძენა. უსახლკაროების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, სტიქიის და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსხლეობის ფინანსური მხარდაჭერა

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გადასახდელების შესრულება | | |
|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | საკასო შესრულება | პროცენტი |
| ხარჯები | 13 440,9 | 16,755,9 | 16,443,7 | 0.98 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შრომისანაზღაურება | 2209.12 | 2,407,2 | 2,394,3 | 0.99 |
| საქონელიდამომსახურება | 3977.93 | 4,934,5 | 4,775,5 | 0.97 |
| პროცენტები | 129.26 | 108,8 | 108,8 | 1.00 |
| სუბსიდიები | 4705.51 | 6,368,2 | 6,270,0 | 0.98 |
| სოციალურიუზრუნველყოფა | 602.77 | 771,3 | 760,0 | 0.99 |
| სხვახარჯები | 1816.32 | 2,165,9 | 2,135,3 | 0.99 |
| არაფინანსურიაქტივებისზრდა | 17 337, 0 | 18,049,8 | 15,164,3 | 0.84 |
| ვალდებულებების კლება | 242,5 | 261,2 | 261,2 | 1.00 |
| სულგადასახდელები | 31020,4 | 35,067.0 | 31,869,2 | 0.91 |

გადასახდელების გეგმა -შესრულება




ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

| | მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | 2021 წელს ფაქტი | 2022 წელი ფაქტი | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4 993, 9 | 5 818,7 | 18.4 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 18,394,9 | 16 534,4 | 52.3 |
| გარემოს დაცვა | 1,573,1 | 1 779,9 | 5.6 |
| საბინაო-კომუნალურიმეურნეობა | 761,9 | 1 235,0 | 3,9 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 155,8 | 157,3 | 0.5 |
| დასვენება და კულტურა | 1,917,9 | 2 232,3 | 7 |
| განათლება | 2 192,2 | 3 001,5 | 9,5 |
| სოციალური დაცვა | 788,1 | 848,9 | 2,7 |
| სულ ხარჯები | 30 777.8 | 31 608,0 | 100.0 |

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:
◙საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5 818,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6 070,1 ათასი ლარი) 96 %, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 18,4 %-სშეადგენს. მათშორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 5 605,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 856,1 ათასი ლარი) 96%-ია;

✓ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 108,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

✓სხვა არაკლასიფიცირებულისაქმიანობასაერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 104,7 ათასილარი, რაც გეგმის (105,2ათასილარი) 100%-ია.

◙ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 19 216,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 16 534,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 52,3%. მათშორის:

✓ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 6 812,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 152,2 ათასი ლარი) 84%;

✓სოფლის მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 3 134,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 142,5 ათასი ლარი) 100 %;

✓ეკონომიკის სხვა დარგების(ტურიზმი) დაფინანსებამ შეადგინა 196,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (210,9 ათასი ლარი) 93%;

✓სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 6 391,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 711,0 ათასილარი) 83%-ს შეადგენს.

◙გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 833,8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 779,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97 %, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5,6%. მათ შორის:

✓ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 1 779,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 833,8 ათასი ლარი) 97%-ია;

◙საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 1 267,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 235,0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების –3.9%. მათშორის:

✓წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 657,2 ათასი ლარი, რაც გეგმის(672,7 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 577,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (594,9 ათასი ლარი) 97%-სშეადგენს;

◙ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 160,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 157,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,5%. მათ შორის:

✓საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 77,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (80,0ათასილარი) 97%;

✓სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 80,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (80,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

◙დასვენების და კულტურის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 2 294,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 232,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97 %, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7%. მათ შორის:

✓მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 892,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (916,0ათასილარი) 97%;

✓მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 971,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (977,5 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს;

✓საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 256,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (290,1ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს.

✓სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 110,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (110,9ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

◙განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 3 092,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი- 3 001,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 9,5%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 1 760,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 765,5 ათასი ლარი) 100 %-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 1 241,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 327,0 ათასი ლარი) 94 %-ს შეადგენს;

◙სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 870,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 848,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2,7%. მათ შორის:

✓ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 31,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,6 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 679,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (685,9ათასი ლარი) 99%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 21,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (21,0 ათასილარი) 100%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 117,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (130,5ათასი ლარი) 90%-ს შეადგენს.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 300,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 300,0 ათასი ლარი.თანხა განკუთვნილი იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვისთვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 370,0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (370,0 ათასი ლარი) 100%-ია. აქედან, პროცენტების გადახდისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 108,8 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 261,2 ათასი ლარი.

აღნიშნული თანხიდან ხდება შემდეგი ვალდებულებების დაფარვა:

1. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვა,
2. მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალფუნქციური სპორტ კომპლექსის მშენებლობის თანადაფინანსების სასესხო ვალდებულების დაფარვას.

| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კრედიტორის დასახელება | სულ სესხის ოდენობა 01.01.2022 წლის მდგომარეობით | 2022 წელს დაფარული სესხი | სულ დარჩენილი დავალიანება 01.01.2023 წლისთვის | მ.შ 2023 წელს გადასახდელი სეხხის თანხა | სესხის აღების მიზანი | სესხის % | სესხის დაფარვის საბოლოო თარიღი |
| 1 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 498,4 | 99,7 | 398,7 | 99,7 | ნაგავმზიდი მანქანების შესყიდავ | 15 | 28.10.2026 |
| | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 851,5 | 249,5 | 602,0 | 249,5 | სოფ მულახში სპორტსკოლის რეკონსტრუქცია | 11 | 05. 2025 |
| | | | | | | | | |

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

❖ ინფრასტრუქტურა- 17 573,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (20 273,2 ათასი ლარი) 87%-ია;

❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 779,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 833,8 ათასი ლარი) 97%-ია.

❖ განათლება - 3 001,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 092,5 ათასი ლარი) 97%-ია;

- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი,2 428,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 505,3 ათასი ლარი) 97%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 006,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 030,9 ათასი ლარი) 98%-ია;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 6 079,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (6 331,3 ათასი ლარი) 96 %-ია.




პრიორიტეტებზე გადანაწილებული ასიგნებები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 2022 წელს გამოყოფილი იქნა 8 152,1 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 6 812,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 84%-ია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 02 01 01 | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | | | მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია | | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | | | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული ქუჩების, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია/მშენებლობა. | | მიღწეული შედეგი | რეაბილიტირებული 14.3 კმ საერთო სიგრძის საგზაო ინფრასტრუქტურა. |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | (%/აღწერა ) | |
| 1. | ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია | 14 კმ | 14 კმ | 14.3 კმ | 3-4% | მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები, |
| 2. | წლის განმავლობაში რეაბილიტირებული და ბეტონის საფარის მოწყობა, | 14 კმ | 14 კმ | 14.3 კმ. | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 3. | | | | | | |
| 4. | | | | | | |
| 5. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) | 4235 ბენეფიციარი მათ შორის 2443 ქალი. | | | | | |

02 02 01 გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისთვის 2022 წელს გამოყოფილი იქნა 577,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 594,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97 %-ია.

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 02 01 | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | ა(ა)იპ გარე განათების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | აღნიშნული ორგაქნიზაცია ემსახურება გარე განათების მოწყობას დაბა მესტიაში და მის მიმდებარე ცხრა სოფლებში. ასევე მოვლა პატრონობას. მიზანი წარმოადგენს ქუჩებზე უსაფრთხო გადაადგილებას. ამ ეტაპზე გარე განათებით უზრუნველყოფილია შემდეგი სოფლები:ბეჩო,მულახი,ლატალი,ლენჯერი,ხაიში,ნაკრა,ცხუმარი,დზი,ლახამულა. | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | უსაფრთხო გარემოს შექმნა | მიღწეული შედეგი | უსაფრთხო გარემოს შექმნის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ხელშეწყობა |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასასხელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | რეაბილიტირებული ბოძების რაოდენობა | 2021წ ახალი გარე განათების მოძების მოწყობა, დაბა მესტიაში 61 ბოძი, სოფ მულახი 14 ბოძის კოშკების და 14 სადგარის დაყენება.სოფ ლენჯერი 3 ძველი ბოძის დემონტაჟი და სამი ახალი ბოძის დაყენება. სოფ ნაკრა 10 ბოძის დაყენება, ხაიში 1 ბოძის ჩანაჩვლება და ხუთი ბოძის ახლის დაყენება. | 2022წ 60 ბოძის დამონტაჟება. დ მესტიადა მისი მიმდებარე ტერიტორია 25 ბოძი, სოფ ლატალი 3 ბოძი. სოფ ბეჩო 30 ბოძი. | დღეის მდგომარეობით გარე განათების სამსახური ემსახურება 1015 ბოძს, განათებული კოშკების რაოდენობა 80. ეკლესია მონატრები 8. | | |

02 02 02 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 2022 წელს გამოყოფილი იქნა 672,7 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 657,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98 %-ია.

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | 02 02 02 |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია |

<table>
<tr><td colspan="3">ქვეპროგრამის/ღონისძიების  აღწერა და მიზანი</td><td colspan="4">ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი სისტემების მშენებლობა. მოსახლეობას რომელთაც არ აქვს საშვალება წყალი საცხოვრებელ სახლამდე შემოიყვანონ,იმათ ვეხმარებით წყლის მილების გადაცემით,რომ შეძლონ სასმელი წყალით უზრუნველყოფა.</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და კეთილოწყობა</td><td>მიღწეული შედეგი</td><td>ახალი სისტემების მშენებლობა სოფელ ადიშსა და ლენჯერში</td></tr>
<tr><td colspan="4">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>ინდიკატორის დასახელება</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td><td></td></tr>
<tr><td>1.</td><td>კეთილმოწყობილი სამელი წყლის სიტემა</td><td>79 ბენეფიციარი იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით  და საკანალიზაციო სისტემით</td><td>79 ბენეფიციარი იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით  და საკანალიზაციო სისტემით</td><td>სასმელი წალი მიეწოდება67 ბენეფიციარს.</td><td>3-4%</td><td>მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები,</td></tr>
<tr><td>2.</td><td>კეთილმოწყობილი საკანალიზაციო სისტემა.</td><td>79 ბენეფიციარი იქნება უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით</td><td>79 ბენეფიციარი იქნება უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით</td><td>საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილია 79 ბენეფიციარი</td><td>3-4%</td><td>სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები.</td></tr>
<tr><td>3.</td><td>მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება</td><td>56 ოჯახს გაუმჯობესდება საყოფაცხოვრებო პირობები</td><td>56 ოჯახი</td><td>50 ოჯახი</td><td>3-4%</td><td>სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები.</td></tr>
<tr><td>4.</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) | 79 ბენეფიციარი მათ შორის 35 ქალი. | | | | | |

02 03 მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა 2022 წელს გამოყოფილი იქნა 4 212,3 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 3 291,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 78 %-ია.

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა 02 03 | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამები;<br>• საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია<br>• საჯაროს კოლების მშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სამედიცინოამბულატორიებისმშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სპორტულ გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობარეაბილიტაცია.<br>პროგრამის ძირითადმიზანსწარმოადგენსმუნიციპალიტეტისეკონომიკურიდასოციალურიპროგრესისუმნიშვნელოვანესირესურსის-ადამიანურიკაპიტალისდამისიგანვითარებისყველასაფეხურზესათანადოპირობებისშექმნა.სკოლამდელიაღზრდადაგანათლებაგამორჩეულადპრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზეგათვლილისფეროადააქედანგამომდინარექვეპროგრამებიითვალისწინებენუწყვეტისწავლისსისტემებისგანვითარებისხელშეწყობას, პირველადიჯანდაცვისხელმისაწვდომობისგაზრდას, ჯანსაღიცხოვრებისწესისდამკვიდრებასადასპორტულიინფრასტრუქტურისგანვითარებას.მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების სახურავის შეძენაში ხელშეწყობის პროგრამა, ობიექტებზე ცენტრალური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | მიღწეული შედეგი | გაუმჯობესებული სამოქალაქო ინფრასტრუქტურა |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | განმარტება |
|---|---|---|

| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია | ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იფარში 50 ბავშვზე. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 594 650 ლარი. | საბავშვო ბაღის მშენებლობის პირველი ეტაპი 100 000 ლარი | საბავშვო ბაღის მშენებლობის პირველი ეტაპი 70 ათ ლარი. | 3-4% | მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები, |
| 2. | ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია | ლაბორატორიის მშენებლობა | ლაბორატორიის მშენებლობის პირველი ეტაპი | ლაბორატორიის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულებული | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 3. | სკოლების მცირე რემონტი | ლენჯერის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა | ლენჯერის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა პირველი ეტაპი 45 000 ლარი | ლენჯერის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა პირველი ეტაპი 42 000 ლარი | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 4. | სპორტული ინფრასტრუქტურა | სპორტული მოედნების მოწყობა 100 000 ლარის ფარგლებში | სპორტული მოედნების მოწყობა 100 000 ლარის ფარგლებში | მოეწყო სპორტული მოედნები (100 000 ლარი) | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 5. (გენდერული, | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასეთის არსებობის შემთხვევაში) | | | | | | |

02 04 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია 2022 წელს გამოყოფილი იქნა 3 142,5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 3 134,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | | | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია 02 04 | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | | | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | | | სტიქიის პრევენცია და სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია | | მიღწეული შედეგი | აღდგენილი ინფრასტრუქტურა |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასასხელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1 | ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა | ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა | ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა | აშენდა საყრდენი კედლები, გაბიონები, ჯებირები | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 2 | სანიაღვრე არხების მოწყობა | სანიაღვრე არხების მოწყობა | სანიაღვრე არხების მოწყობა | მოეწყო 100 998 ლარის სანიაღვრე არხები. | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |

02 05 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2022 წელს გამოყოფილი იქნა 2 822,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2 545,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 90 %-ია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | | | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 02 05 | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | | | სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სხვადასხვა პროექტები | | | |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი | | | სოფლის მხარდაჭერი პროგრამა | | მიღწეული შედეგი | კეთილმოწყობილიინფრასტრუქტურა |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასასხელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ხიდების და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 950 526 ლარი - 37,5%. | სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით შიდა სასოფლო გზების და ხიდების მოწესრიგება | სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით შიდა სასოფლო გზების და ხიდების მოწესრიგება | მოწესრიგებული ხიდები, შიდა სასოფლო გზები . . | 3-4% | მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები, |
| 2. | წყლისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება 397 053 ლარი-15,6% | სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით წყლის სისტემების რეაბილიტაცია და შეკეთებას | წყლისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება თანხით 397 053 ლ. | მოწესრიგებული წყლისა და წყალარინების სისტემები. დაიხარჯა 397 053 ლარი. | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 3 | გარე განათება და ელგადამცემი ხაზების მოწესრიგება-858 346 ლარი - 33,7% | მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების და ელმომარაგების გაუმჯობესება. | სოფლად ლ. გადამცემი ხაზებისა და გარე განათების მოწესრიგება | ელ. გადამცემი ხაზებისა და გარე განათების მოწესრიგებაზე დაიხარჯა 858 346 ლარი | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სკვერების და სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა 339 585- 13,2 %ლარი. | ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა | სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სკვერების მოწყობა | სკვერების და სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 339 585 ლარი. | 3-4% | სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| 5. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) | | | | | | |

3. 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა
   03 01 დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 1 779,9 ათასილარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 833,8 ათასი ლარის )97%-ი.

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 03 01 - მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობა | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ მესტიის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისით მომსახურეობის უზრუნველყოფა, რაშიც შედის: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა.<br>ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური მუნიციაპლიტეტის დასუფთავებაზე ზრუნვის გარდა პროგრამის ფარგლებში ახორციელებს/კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის მერიიდან ბრძანებით დავალებულ კეთილმოწყობის პროექტებს, როგორიც არის სახელმწიფო შენობების და ხიდების რეკონსტრუქცია, გზისპირა საყრდენი კელდების მშენებლობა და სხვა. | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | სუფთა მუნიციპალიტეტი | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | მიღწეული შედეგის | | განმარტება |

| | | | | შეფასების ინდიკატორი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | დასუფთავებული ქუჩები დაბა მესტიაში % | რაოდენობრივი | 80 | 75 | 4% | დაბა მესტიაში დაგეგმილი იყო იმ ქუჩების დამატება დასაგველ/დასასუფთავებელ ქუჩებს შორის, რომელთა კეთილმოწყობა/მოასფალტებას ახორციელდა მუნიციპალიტეტის მერია, თუმცა დასრულებული ქუჩების ოფიციალურად ჩაბარება ვერ მოხერხდა დროულად, რის გამოც დაგეგმილი ქუჩები ვერ დაემატა 2022 წლის დასასუფთავებელ ქუჩებს და გეგმა დაგაიწია 2023 წლისთვის. |
| 2. | დასუფთავების მომსახურეობის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში % | რაოდენობრივი | 70 | 70 | 0% | გამომდინარე იქდან რომ 2022 წლისთვის ვერ ვახერხებდით დამატებითი სპეც ტეხნიკის შეძენას რომელიც შეძელბდა ისეთ სოფლებში სიარულს სადაც ჩვენი ამჟამინდელი სპეც ტექნიკა ვერ მიდის, დაგეგმილი იყო რომ მათ ჰქონოდათ მაქსიმულური მინიმალური ხელმისაწვდომობა მაინც და კონტეინერები დაიდგა ცენტრალურ გზაზე სოფლის შესასვლელებთან. |
| 3. | ამაღლებული ცნობიერება (არ დაყარონ ნაგავი და გაუფრთხილდნენ გარემოს) % | ხარისხობრივი | 50 | 50 | 0% | დაგეგმილი იყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რის მისაღწევადაც ჩატრებული იქნა დასუფთავების აქციები და დარიგებულ იქნა საინფორმაციო სტიკერები და ფლაერები. |
| 4. | შემოსული დასუფთავების მოსაკრებლის თანხა | რაოდენობრივი | 120,0 | 98,9 | 17% | |

4. განათლება (04 00)
04 01 სკოლამდელი განათლება დაფინანსებულია 1 760,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 765,5 ათასი ლარის) 100%-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება 04 01 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების 2022წლის ბიუჯეტი შეადგენს 1765474 ლარს ათვისებულია ლარი.ამ პროგრამით აღიჭურვა საბ.ბაღები ავეჯით,ელ.ტექნიკითა და სამზარ.ინვენტარით.შეძენილი იქნა |

| | |
|---|---|
| | ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშულებები, გაიზარდა ბავშვთა კვების ხარისხი. .გაკეთდა ერთ საბ.ბაღის მიმდინარე რემონტი.. 437 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო საჩუქრები დაინერგა 10 საბ.ბაღში "ჰასპის"პროგრამა. გადამზადდა 17 აღმზრდელი 43 აღმზრდელიდან, ვინაიდან აღმზრდელ პედაგოგის ტრენინგმოდულისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია ჰქონდა 17 აღმზრდელს.. გადამზადა ყველა მზარეული და გამგე ჰასპის პროგრამის დანერგვის მიზნით. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | | | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | აღმზრდელი (გადამზადება) | 17 | 43 | 17 | 60% | აღმზრდელ პედაგოგის ტრენინგ მოდულის გავლისთვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაცია ჰქოდა მხოლოდ 17 აღმზრდელს |
| 2. | გამგე (გადამზადება) | 23 | 23 | 23 | 0 | |
| 3. | აღსაზრდელთა რეგისტრაცია | 505 | 530 | 437 | 21.50% | გამოწვეულია მუნიციპალიტეტში შესაბამისი ასაკის ბავთა რაოდენობის შემცირებით. ასევე მონიტორინგის საფუძველზე. |
| 4. | | | | | 0 | |

5. 05 00 კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
   05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 892,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 915,9ათასი ლარის) 97 %-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 01 01 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:<br>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორცსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება.<br>სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდების ჩართვა შემდეგ სპორტულ სახეობებში:ძიუდო , კრივი,ფეხბურთი, სნოუბორდი, მკლავჭიდი, შახმატი ,სათხილამურო სპორტი, მეკლდეურობა .<br><br>2022 წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:<br>ძიუდო - 18 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა 100 პრიზიორი.<br>კრივი -9 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 46 პრიზიორი სპორცმენი. ჭადრაკი 3 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 6 პრიზიორი სპორცმენი.<br>მეკლდეურობა -3 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა 21 პრიზიორი.<br>სამთო -სათხილამურო სპორტი-8 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 77 პრიზიორი სპორცმენი.<br>ქარ. ჭიდაობა -6 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 16 პრიზიორი სპორცმენი.<br>სნოუბორდი - 1 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 4 პრიზიორი სპორცმენი.<br>მეკლდეურობა - 4 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 45 პრიზიორი სპორცმენი.<br>ფეხბურთი - 4 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 12პრიზიორი სპორცმენი.<br>მკლავჭიდი -1 ღონისძიება საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 15 პრიზიორი სპორცმენი.<br>ქვეპროგრამების მიზანია: სპორტულ ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულიზაცია | მიღწეული შედეგი | მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესში ჩართულობის ხელშეწყობა |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | შიდა და გასვლითი ღონისძიებების რაოდენობა | 0 | 54 | 54 | | |
| 2. | პრიზიორი სპორცმენთა რაოდენობა | 0 | 330 | 350 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. | პრიზიორი სპორცმენთა რაოდენობა გოგონები | 0 | 40 | 60 | | |
| 4. | პრიზიორი სპორცმენთა რაოდენობა ვაჟები | 0 | 200 | 290 | | |

05 02 04 ბიბლიოთეკების გაერთიანება დაფინანსებულია 92,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 92,9 ათასი ლარის) 100%-ი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 05 02 04 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | ა(ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | ქვეპროგრამის მიზანია მომავალ თაობას შევაყვაროთ წიგნი, როგორც ადამიანის მეგობარი. ბიბლიოთეკის წამყვანი ამოცანაა განავითაროსმომხმარებელში ინფორმაციის მიღების კითხვის კულტურის უნარები-აგრეთვე ჰქონდეს წიგნისადმი შეგნებული და კულტურული დამოკიდებულება.მისთვის, რომ კითხვა აუცილებელია სულისა და გონებისთვის , ბიბლიოთეკა უზრუნველჰყოფს მომხმარებელს შესთავაზოს მრავალფეროვანი კულტურული აქტივობები. შექმნას მკითხველზე მორგებული გარემო და რაც შეიძლება მეტი მოსწავლე დაინტერესდეს ბიბლიოთეკით. | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | მკითხველთა დაინტერესების ზრდა | | მიღწეული შედეგი | მკითხველთა დაინტერესების ზრდა |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | მკითხველთა რაოდენობა | 500 | 547 | 547 | | |
| 2. | ღონისძიებების რაოდენობა | 3 | 4 | 3 | 1 | |
| 3. | | | | | | |

05 03 ახალგაზრდული პროგრამები დაფინანსებულია 256,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 290,1 ათასი ლარის) 89%-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 03 |
| პროგრამის განმახო | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური |

<table>
<tr><td>რციელე ბელი</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="6">1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტტა თანადაფინანსება''. 2. ,,არქეოლოგიური ექსპედიცია''- (სვანეთის მასშტაბით ხორციელდება სასწავლო– სამეცნიერო ექსპედიციები, რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელსაც ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია პროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით). 3. ,,ეტალონი''-(საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი ,,ეტალონი“ მე–8 წელია უწყვეტად განაგრძობს მთელი საქართველოს მასშტაბით ნიჭიერი მამულიშვილი ახალგაზრდების აღმოჩენას და წახალისებას). 4. ,,ეტალონი განათლება“-(პროექტი ,,პირველკლასელთა აკადემია“ გათვლილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც მოიცავს აქტივობებს ბავშვის შემეცნების და აზროვნების განვითარებას. 5. ,,ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დაფინანსება“-(სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა). 6. ,, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა''-(საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელებს პროგრამას ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“–ს. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოს მასშტაბით მრავალი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალურ დონეზე თამაშების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. ოლიმპიადის თამაში შედგება 4 ეტაპისაგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალური და დასკვნითი თამაშები. აღნიშნულ აქტივობებში ყოველწლიურად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა). 7. ,,ახალგაზრდულ ბანაკებში ახალგაზრდების ტრანსპორტირება''. 8. ,,ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა'' - (პროგრამა მოიცავს ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამების დაფინანსება ს და სხვა..). 9. ,,სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების თანადაფინანსება''-(მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლებისთვის მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოება. სკოლების ჩართვა სხვადასხვა დამატებით აქტივობებში უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, ასევე აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას). 10. ,,ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები''.</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</td><td colspan="4">განათლების ხელშეწყობა,ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროგრამებში</td><td>მიღწეული შედეგი</td><td>განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებ ის ჩართულობა სხვადასხვა პროგრამებში</td></tr>
<tr><td colspan="4">დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>ინდიკატორის დასახელება</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1.</td><td>დაფინანსებული სტუდენტები</td><td>2021 წელს დაფინანსდა 76 სტუდენტი</td><td rowspan="3">არ იყო განსაზღვრული დაგეგმილი იყო 10 პროგრამა</td><td>2022 წელს დაფინანსდა 78 სტუდენტი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>2.</td><td>ღონისძიებები</td><td>2021წლის დაგეგმილი პროგრამებიდან განხორციელდა მხოლოდ 4 ღონისძიება.</td><td>განხორციელდა 6 პროგრამა, თუმდა ცატარდა სხვა დაუგეგმავი ღონისძიებები.</td><td></td><td>ხელშემშლელი ფაქტორი იყო პანდემია)</td></tr>
<tr><td>3. (გენდერული, ასეთის არსებო</td><td>დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა გენდერულ წრილში</td><td>76 სტუდენტი,მათ შორის 45-მდედრობითი, 31-მამრობითი</td><td>78 სტუდენტი.მათ შორის: 43-მდედრობითი. ,35-მამრობითი.</td><td></td><td></td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბის შემთხვევაში) | | | | | | |

05 05 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი დაფინანსებულია 110,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 110,8 ათასი ლარის) 100 %-ი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | 05 05 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ძეგლების აღრიცხვა ინვენტარიზაცია ასევე დაზიანებული ძეგლების აღსადგენად საპროექტო სამუშაოების შესრულება და ძეგლების არეალში ნებართვის გაცემა. | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | აღსადგენად დაპროექტებული ძეგლები | რაოდენობრივი | 17 | 15 | 10 | |
| 2. | | | | | | |

05 06 ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"დაფინანსებულია 878,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 884,6 ათასი ლარის) 99%-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 06 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ააიპ მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრში მესტიის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ფუნქციონირებს 1 დაბა მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი და 8 ტერიტორიული ერთეულის კულტურის ცენტრი, რომელთაგანაც მხოლოდ 2 (ჟაბერის და ბეჩოს) კულტურის ცენტრებია რეაბილიტირებული, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება, დანარჩენ 6 ცენტრის შემთხვევაში ნაკრას, ფარს, ცხუმარს და იფარს საერთოდ არ გააჩნიათ კულტ. სახლის შენობა, ხოლო ეცერის და ლატალის კულტ. სახლები ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ვერ უზრუნველყოფს შემოქმედებით საქმიანობის პირობებს, რის გამოც 6-ვე შემთხვევაში მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სხვადასხვა ლოკაციებზე ხშირ შემთხვევაში ეს ლოკაციებია სკოლა, პედაგოგის საცხოვრებელი სახლი და ა.შ. დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 175 მოსწავლის სწავლება. |

<table>
<tr><td colspan="3"></td><td colspan="4">ხოლო 200-ზე მეტი მოსწავლე მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. სულ კულტურის და ხელოვნების ცენტრში  დაწესებულებებში დასაქმებულია 117 თანამშრომელი, აქედან 72 მამაკაცი და 45 ქალბატონი<br>ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მომსახურებით სარგებლობს 175 ახალგაზრდა, ააიპ კულტურის და ხელოვნების ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ხელოვნების და კულტურული დარგების მიწოდებას. ააიპ-ის ფუნქციონირების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია სწავლება შემდეგ დარგებში: ხატვა რეწვა, გობელენი, თექა, აპლიკაცია და კოლაჟი, ხის მხატვრული დამუშავება, ფორტეპიანო, სოლფეჯიო, ქართული ხალხური ცეკვა, ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ხალხური საკრავები, გიტარა, ვოკალი, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, პანტომიმა, მსახიობის ოსტატობა, მხატვრული კითხვა.        2022 წლის განმავლობაში განხორციელდა 65 ზე მეტი ღონისძიება: 3 მარტი დედის დღე, 1-ლი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სვანეთობა, მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ახალი წელი. სპექტაკლი უშბა და თეთნულდი, სპექტაკლი ბეთქილი, სპექტაკლი სტუმარ-მასპინძელი, კინოჩვენებები.<br>ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: პედაგოგების გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლება, სხვადასხვა ხელოვნების სახეობების  დამატება. ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის წესდების და შინაგანაწესის შესაბამისად<br>აღზრდის სფეროში  სტანდარტების შესაბამისი  სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, შესაბამისი  სასწავლო პროგრამების შექმნა და სწავლება.</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი საბოლოო შედეგი</td><td>კულტურის და ხელოვნების დარგში ჩართული მოქალაქეების ზრდა, არსებული კულტურის და ხელოვნების დარგების შენარჩუნება, განვითარება, ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩრთულობა, ახალი ხარისხიანი პროდუქციის შექმნა  და მოქალაქეებისთვის მიწოდება.</td><td>მიღწეული შედეგი</td><td colspan="2">კულტურის და ხელოვნების დარგში ახალგაზრდების ცართულობის ზრდა</td></tr>
<tr><td colspan="4">დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="3">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>ინდიკატორის დასახელება</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1.</td><td>სწავლეთა რაოდენობა</td><td>70</td><td>90</td><td>75</td><td>15</td></tr>
<tr><td>2.</td><td>ღონისძიებების რაოდენობა</td><td>45</td><td>65</td><td>78</td><td></td><td></td></tr>
</table>

05 07 აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ დაფინანსებულია 196,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 210,9 ათასი ლარის) 93 %-ი.

<table>
<tr><td colspan="3">პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</td><td colspan="4">05 07</td></tr>
<tr><td colspan="3">პროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="4">აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ დაფინანსებულია</td></tr>
<tr><td colspan="3">პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="4">ა(ა)იპ – სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია<br>,,შანლანდი“ უზრუნველყოფს ტურისტული სეგმენტისთვის სვანეთის კულტურული და ტრადიციული პროდუქტების მიწოდებას, რაც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას აირჩიოს და გაეცნოს იმ ტურისტულ ადგილებს, პროდუქტებს, მიმართულებეს რაც მათთვის იქნება საინტერესო.<br>ორგანიზაცია ატარებს საინფორმაციო აქტივობებს, იწვევს ინფლუენსერებს და მათი მეშვეობისთ სვანეთის ღირსშესანიშნაობებს აცნობს სხვა ქვეყნებს.<br>2022 წელს ჩატარდა თეთნულდის სათხილამურო კურორტზე საერთაშორისო შეჯიბრი ფრირაიდში,სადაც სხვადასსხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეული სპორტსმენები, სპორტული დელეგაციები, ინფლუენსერები, აღნიშნული ღონისძიება მრავალ სპორტულ არხზე გაშუქდა.<br>ზაფხულის ჩატარდა HIGHLANDER, რომელიც განკუთვნილი იყო მძაფრიშეგრძნების და თავგადასავლების მოყვარული ადამიანებისთვის, ამ ღონისძიებაში ჩართული იყო მსოფლიოს თთქმის ყველა წარმომადგენელი, რაც ხელს უწყოფს სვანეთის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.<br>ასევე აქტიურად მივიღეთ მონაწილეობა ‘სვანეთობა’ ღონისძიებაში.</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი საბოლოო შედეგი</td><td colspan="2">ტურისტულ სექტორში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა,</td><td>მიღწეული შედეგი</td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="3">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>ინდიკატორის დასახელება</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1.</td><td>ჩატარებული ღონისძიებები</td><td>რაოდენობრივი</td><td>4</td><td>3</td><td>25</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

06 01  საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 77,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 80,0 ათასი ლარის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიებისშესრულებისშესახებგანაცხადისფორმა | | | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიებისდასახელება (პროგრამულიკოდი)06-01,01 | | | მიზნობრივი ტრანსფერი | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი | | | ა.(ა.)ი.პ. მესტიისსაზოგადოენრივიჯანდაცვის ცენტრი | | |
| დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წლიური მიზნობრივი ბიუჯეტით) | | | | | განმარტება(თუ რატო არ/ვერ განვახორციელეთ დაგეგმილი ღონისძიება |
| № | დაგეგმილიღონისძიებები | დაგეგმილი | განხორციელებული | ცდომილებისმაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1 | პროფილაქტიკურდაეპიდსაწინააღმდეგოღონისძიებებსატარებდაუშუალოდდაავადებისკერაში | საჭიროებისმიხედვით | | | |
| 2 | კოვიდ 19 ისპანდემიასთანმიმართებითAG - ტესტირება | საჭიროების მიხედვით | | | |
| 3 | მონიტორინგისადადამხმარეზედამხედველობა,,მესტიისსაზოგადოებრივიჯანდაცვისცენტრის'' მიერსხვადასხვასაკითხებზემონიტორინგიჩატარდაპირველადჯანდაცვასადაჰოსპიტალურსექტორში | ყოველთვიურად | ყოველთვიურად | | |
| 4 | სამედიცინოსტატისტიკურანგარიშგებაზეზედამხედველობა | ყოველთვიური, კვარტალური, წლიური | ყოველთვიური, კვარტალური, წლიური | | |
| 5 | მოსახლეობისანტირაბიულიმომსახურება: ცოფისდაავადებისგავრცელებისმხრივშექმნილისიტუაციურიანალიზი, ანტირაბიულიმომსახურებისმონიტორინგი, იმუნობიოლოგიურიპრეპარატებითმომარაგებ | საჭიროების შემთხვევაში | საჭიროებისშემთხვევაში | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ისმონიტრენინგი, ანტირაბიულიკაბინეტ ისფუნქციონირებისხე ლშეწყობა, ანტირაბიულმომსახურ ებაზედასაქმებულისამ ედიცინოპერსონალისი ნსტრუქტაჟი. | | | | |

06 02 01 ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა დაფინანსებულია 31,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 33,6 ათასი ლარის) 95%-ი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პ/კ- 06 02 01) | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის/ბავშვებისთვის , მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა | | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდა ახალშობილის ოჯახის, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/ბავშვების, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. | | მიღწეული შედეგი | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 154 | 155 | 145 | 6% |

06 02 02 მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 406,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 407,5 ათასი ლარის) 100%-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სოციალურად დაუცველის , შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის,ასევე ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სოციალური დაცვის პროგრამა (პ/კ-06 02 02) |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სოციალურად დაუცველის , შშმ პირის ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დიაგნოსტიკის, მკურნალობის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი თანადაფინანსება/დახმარება | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველის,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული - დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების , დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში. | მიღწეული შედეგი | |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 750 | 750 | 829 | 10% | |
| 2. | | | | | | |

06 02 03 ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა დაფინანსებულია 7,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,5 ათასი ლარის) 100%-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (პ/კ-06 02 03) |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | როგრამით გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების ხარჯების დასაფარად ერთჯერადი დახმარების გაწევა. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების, ერთჯერადი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის უხუცესები) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | გაუმჯობესდა ომის მონაწილე ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების, გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახების, ხანდაზმულების (90 წლის და 90 წელს გადაცილებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარა მათ ჯამრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. | | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 47 | 50 | 50 | 0% | |

06 03 მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 272,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 278,3 ათასი ლარის) 98 %-ი.

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | მესტიის რაიონის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პ/კ-06 03) |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, რომელშიც შედის შემდეგი კატეგორიები: ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები და მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა დაფინანსება/თანადაფინანსება, ასევე ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოლკვლევების თანადაფინანსება და ასევე სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა სადიაგნოსტიკო/თერაპიული მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა პროგრამაში მონაწილე ყველა კატეგორიის მათ შორის , ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად, ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების , სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფების, რომლებსაც დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გათვალისწინებული დახმარება, დაფინანსება ან/და თანადაფინანსება გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ავადმყოფებს შეუმსუბუქდებათ ფინანსური პრობლემები, რადგან ხშირად სამედიცინო მომსახურების | მიღწეული შედეგი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მისაღებად, სამგზავრო თანხის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ სხვა ქალაქში გამგზავრებას და შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო კვლევების ჩატარებას. ასევე მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის მიზნით, სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა რომელიც ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 -დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითრების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის დაფინანსება/თანადაფინასებას, პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება ბენეფიციარების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები, ასევე კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა დაეხმაა კოვიდის შემდგომი პრობლემების მქონე პირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებების დროულად გამოვლენაში და მკურნალობაში . | | |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 352 | 352 | 390 | +10% | |

| 2. | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|

**06 04 სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარებადაფინანსებულია 100,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 105,9 ათასი ლარის) 95 %-ი.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | | | სტიქიით (მათ შორის ხანძრით) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (პ/კ-06 04) | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაეწია დაზარალებული ოჯახების პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის მიზნით. | | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 120 | 120 | 75 | 37% | |
| 2. | | | | | | |

**06 05 შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრი დაფინანსებულია 80,0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 80,0 ათასი ლარის) 100 %-ი.**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | | | სარეაბილიტაციო ცენტრში არსებული სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მესტიის მუნიციპალიტეტში ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის და ყველა ნოზოლოგიის მქონე ბენეფიციარისთვის. პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მოხდეს დროული ინტერვენცია. | | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | | | | | მიღწეული შედეგი | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა | 40 | 44 | 44 | 0 | |
| 2. | მეტყველების თერაპიები | 330 | 385 | 385 | 0 | |
| 3. | ქცევის მართვის სპეციალისტის თერაპიები | 245 | 385 | 385 | 0 | |
| 4. | თერაპიული მომსახურებების რაოდენობრივი ზრდა | 575 | 770 | 770 | 0 | |
| 5. (გენდერული, ასეთის არსებობის | ბენეფიციარი ვაჟი | 7 | 8 | 8 | 0 | |
| | ბენეფიციარი გოგონა | 4 | 4 | 4 | 0 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემთხვევაშ ი) | ბენეფიციარი მამაკაცი | 9 | 10 | 10 | 0 | |
| | ბენეფიციარი ქალბატონი | 20 | 22 | 22 | 0 | |
| | თანამშრომელ ი მამაკაცი | 1 | 1 | 1 | 0 | |
| | თანამშრომელ ი ქალბატონი | 7 | 7 | 7 | 0 | |

06 06 უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დაფინანსებულია 21,0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 21,0 ათასი ლარის) 100 %-ი.

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა (პ/კ-06 06) | |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომსია შეისწავლის მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობას, სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება და უპირატესობა მიენიჭება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ვეტერანებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, მათ არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა მიხედვით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში , მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუშენებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ სახლს. საცხოვრებელი სახლის ფართობი განისაზღვრება სულადობის მიხედვით. | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | პროგრამის ფარგლებში უსახლკაროდ დარჩენილი პირები (ოჯახები), უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო საცხოვრისით, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. | მიღწეული შედეგი |
| | | |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 1 | 1 | 1 | 0% | |
| 2. | | | | | | |
| 3. | | | | | | |

06 07 ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 8,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 17,0 ათასი ლარის) 53 %-ი.

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (3/კ-06 07) | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევა თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.<br>• კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით. | | |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად: გარკვეუ წილად გაუმჯობესდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური ფონი, გაუმჯობესდეა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდა დემოგრაფიული მდგომარეობა. | მიღწეული შედეგი | |
| | | | |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | ინდიკატორის დასახელება | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| 1. | ბენეფიციართა რაოდენობა | 0 | 100 | 148 | +48% | |
| 2. | | | | | | |